



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N18/25

2018 წლის 9 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ
კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის
შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საჯარო სხდომაზე განიხილა მოქალაქე ე. რობაქიძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№2428/01. 27.02.2018), მოქალაქე მ. ადამაშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№2467/01. 28.02.2018), მოქალაქე მ. დიასამიძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№2520/01. 01.03.2018), მოქალაქე მ. ივანიშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№2517/01. 01.03.2018), მოქალაქე მ. ჩოფლიანის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№2427/01. 27.02.2018), შპს „ძველი ხიბულას“ დირექტორის კ. ქავთარაძის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№2462/01. 28.02.2018), მოქალაქე მ. შარიქაძის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№2586/01. 05.03.2018), ა (ა) იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ დირექტორის დ. საზანდრიშვილის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№2653/01. 06.03.2018), შპს „ბაკურის“ დირექტორის ზ. ჯინჭარაძის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№2518/01. 01.03.2018) განცხადებების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და

გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა განცხადებათა დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა :

1. მოქალაქე ე. რობაქიძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№2428/01. 27.02.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 28 მაისი.
2. მოქალაქე მ. ადამაშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№2467/01. 28.02.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 29 მაისი.
3. მოქალაქე მ. დიასამიძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№2520/01. 01.03.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

- სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 2 ივნისი.
4. მოქალაქე მ. ივანიშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდერის“ მიმართ (№2517/01. 01.03.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 2 ივნისი.
 5. მოქალაქე მ. ჩოფლიანის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№2427/01. 27.02.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 28 მაისი.
 6. შპს „ძველი ხიბულას“ დირექტორის კ. ქავთარაძის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№2462/01. 28.02.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 29 მაისი.
 7. მოქალაქე მ. შარიქაძის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№2586/01. 05.03.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 06 ივნისი.
 8. ა (ა) იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ დირექტორის დ. საზანდრიშვილის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№2653/01. 06.03.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 07 ივნისი.
 9. შპს „ბაკურის“ დირექტორის ზ. ჯინჭარაძის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№2518/01. 01.03.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 02 ივნისი.
 10. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს განცხადების წარმდგენ პირებს.
 11. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღების დღიდან.

12. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირინა მილორავა



კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი



კომისიის წევრი

გოჩა შონია



კომისიის წევრი

დავით ნარმანია



კომისიის წევრი

